ქ. თბილისის მერს ბ-ნ დავით ნარმანიას

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსს

ბ-ნ გეგი ნიჟარაძესბაზოების

საბურთალოს რ-ნის გამგებელს ბ-ნ ბექა მიქაუტაძეს

ქ. თბილისის არქიტექტურულ სამსახურის უფროსს

ქ-ნ ნინო ღოღობერიძეს

ბატონებო,

მოგმართავთ ქ. თბილისში ს. ცინცაძის #56-58-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლები. აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსი აშენებულ იქნა ამხანაგობა „იპოდრომი 2003“-ის (#205012724) მიერ. მშენებლობის პროცესში, რომელიც მოიცავდა „ა“, ბ“ და „ე“ კორპუსების მშენებლობას ამხანაგობის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ გაურკვეველი მაქინაციების გამოყენებით ჩვენს ამხანაგობაზე დაფიქსირებული მიწის ნაკვეთი ნაცვლად 7,135 კვ. მ-ისა დაფიქსირდა 5,726 კვ. მ-ის ოდენობით, რის გამოც, ჩვენ ამ კორპუსის 300-ზე მეტ ბინათმფლობელს და ამომრჩეველს დაგვაკარგინეს უფლება, რომ ოდესმე მოხდეს ჩვენი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება და მშენებარე კორპუსის სტატუსისგან განთავისუფლება.

თვალსაჩინოებისათვის წერილს თან ვურთავთ არქიტექტურული სამსახურის ხელმძღვანელის 13/02/15-ში გამოგზავნილი #12/15020684-1 წერილის ასლს.

სამშენებლო კომპანიის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად მაცხოვრებლებმა თავად გადავწყვიტეთ კორპუსის დასრულება, რის გამოც ვახდენთ ცალკეული სადარბაზოების ჭრილში თვითორგანიზებას და საკუთარი ძალებით ვცდილობთ კორპუსის ნაწილ ნაწილს დასრლებას. აღნიშნულ საკითხში დღევანდლამდე არავისთვის დახმარება არ გვითხოვია, მითუმეტეს, რომ მშენებლობის პროცესიდან ჩვენს ეზოში დახვავებული სამშენებლო ნაგავი (6,000 კუბ. მ-ზე მეტი) ქმნის ანტისანიტარიას და ეპიდემიის წარმოქმნის საშუალებას.

სამართლიანობის აღდგენამდე და ჩვენი კორპუსის კუთვნილი მიწის ნაკვეთის დაბრუნებამდე ჩვენი მიწის ნაკვეთისგან გამოყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად იმყოფება შპს „იკონია კაპიტალის“ (#401995980) მფლობელობაში იგეგმება მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა. კომპანიის მიერ თბილისის არქიტექტურულ სამსახურში განსახილველად წარდგენილი განაცხადის შესაბამისად კომპანია ითხოვს კ-2 კოეფიციენტის დამატებას 4.6-ის ნაცვლად 5.2-ის ოდენობით. გვსურს გაცნობოთ, რომ დაპროექტებული შენობა მთლიანად კლავს ჩვენი კორპუსის სასიცოცხლო არეალს, კორპუსის მხარეს დაგეგმილი ყრუ კედელი უსიცოცხლო და უვარგისს ხდის ჩვენი პორპუსის მაცხოვრებლების ცხოვრებას. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში:

1. სრულად ირღვევა ინსოლაციის მოთხოვნები, რამეთუ რამოდენიმე სადარბაზოს საერთოდ უქრება კანონმდებლობით მზის შუქთან წვდომის საშუალება
2. პროექტში არასწორად არის დასმული კორპუსი, რადგან დარღვეულია საპროექტო ობიექტის დაცილებები გაზის, წყლის, საკანალიზაციო ჭებისგან და ა.შ
3. იკარგება შიდა ეზო, გვეზრუდება ბუნებრივი განიავების საშუალება, ხოლო ბავშვების სასარგებლო სივრცეს იკავებს ავტოსადგომები თუ სერვიტუტის გზა
4. კორპუსის აშენება საბოლოოდ დაასამარებს ჩვენს იმედს, რომ ოდესმე შესაძლებელია დასრულდეს ჩვენი კორპუსი და ჩაბარდეს ექსპლოატაციაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ ხელმომწერთა თხოვნა და არ გასცეთ თანხმობა ახალი კ-2 კოეფიციენტის დამტკიცებაზე და დაგვეხმაროთ ჩვენი კორპუსის კუთვნილი მიწის ნაკვეთის დაბრუნებაში. ასევე გთხოვთ წინ აღუდგეთ ამ პროექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.

აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები გამოვხატავთ მზაობას შევხვდეთ თქვენს წარმომადგენლებს და პირადად გაგაცნოთ ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემები და საკითხის გადაჭრის ჩვენეული ხედვები.